ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "კალაუბნის 22"-ის
კ რ ე ბ ი ს ო ქ მ ი

ქალაქი თბილისი 25 თებერვალი 2015 წელი

მრავალბინიანი სახლის მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ.№22

კრების ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ.№22

კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნას მოქ: სოფიკო სიაშვილი

კრების ჩატარების დრო: 13 საათი

მრავალბინიან სახლში ირიცხება სულ 104 ერთეული, აქედან:

- პრივატიზებული ბინა 84 ერთეული
- არაპრივატიზებული ბინა 20 ერთეული

საერთო კრებას დაესწრო 104 ბინის მესაკუთრე, რაც შეადგენს 100 %-ს

კვორუმი შედგა, კრება უფლებამოსილია.

დღის წესრიგი

ამხანაგობა "კალაუბნის 22"-ის მობინადრეების, მისი თავმჯდომარის ქეთევან ცერცვაძის თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რ-ნი, კალოუბნის ქ. №22-ში, მშენებარე მრავალსართულიანი სახლის პროექტის კორექტირებაზე მსუბუქი კონსტრუქციით მე-12 სართულის დამშენების თაობაზე.

მოისმინეს: კრების თავმჯდომარის წინადადება ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რ-ნი, კალოუბნის ქ. №22-ში, მშენებარე მრავალსართულიანი სახლის პროექტის კორექტირებაზე მსუბუქი კონსტრუქციით მე-12 სართულის დამშენების თაობაზე.

ხმა მისცეს აღნიშნულ წინადადებას:

მომხრე 100 %; მოწინააღმდეგე 0%; თავი შეიკავა 0 %

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა თბილისში, ისანი-სამგორის რ-ნი, კალოუბნის ქ. №22-ში, მშენებარე მრავალსართულიანი სახლის პროექტის კორექტირებაზე მსუბუქი კონსტრუქციით მე-12 სართულის დამშენების თაობაზე.

.

კრების თავმჯდომარე სოფიკო სიაშვილი / ს. სიაშვილი /
ხელმოწერა სახელი-გვარი

იბა "კალაუბნის 22"-ის თავმჯდომარის მინდ.პირი ---------- / ---------- /
ხელმოწერა სახელი-გვარი

ი.ბ.ა. „კალაუბნის 22”–ის დამფუძნებელთა კრების

ოქმი №1

ქ. თბილისი 20 თებერვალი 2015 წ.

ამხანაგობის თავმჯდომარეს წარმოადგენს – ქეთევან ცერცვაძე
ამხანაგობის კრების თავმჯდომარეს წარმოადგენს – მიხეილ გვარამაძე
ამხანაგობის კრების მდივანს წარმოადგენს – ელისო იდაძე
კრებას ესწრებოდა – ამხანაგობის ყველა დამფუძნებელი წევრი: შპს “ბითას” წარმომადგენელი დირექტორი ლევან ხოსრუაშვილი, ელისო იდაძე, მიხეილ გვარამაძე, მანანა გოროზია, ნორა გრიგალაშვილი

დღის წესრიგი:

1. ი.ბ.ა. „კალაუბნის 22” -ის დამფუძნებლების თანხმობის დაფიქსირება ქ. თბილისში, კალოუბნის ქ.№22-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის კორექტირებაზე (ერთი სართულის დამატება მსუბუქი კონსტრუქციებით).

2. . ი.ბ.ა. „კალაუბნის 22” -ის დამფუძნებლების თანხმობის დაფიქსირება ქ. თბილისში, კალოუბნის ქ.№22-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის მიხედვით საცხოვრებელი, კომერციული და დამხმარე ფართების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირების თაობაზე.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კრების მონაწილეებისთვის ცნობილია, რომ ი.ბ.ა. „კალაუბნის 22” იღებს ვალდებულებას, მასზედ, რომ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წლის 24 სექტემბერს შეთანხმებული კორექტირებული პროექტის ბრძანება №1507171 შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს გაუკეთოს კორექტირება ერთი სართულის მსუბუქი კონსტრუქციით დამატების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, კრების თავმჯდომარემ განაცხადა, პროექტის კორექტირებიდან გამომდინარე საჭირო გახდება ცვლილების შეტანა ამხანაგობის განშლის ოქმ №8-ში (დამოწმებული 2014 წლის 26.11. ნოტარიუს ქ. ოდილავაძის მიერ სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №141294846) და შესაბამისად ახალი განშლის ოქმის დარეგისტრირება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

კრების მონაწილეებმა განიხილეს მომხსენებლის წინადადება, გაეცნენ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ საბუთებს და ერთხმად

დაადგინეს:

1. დაფიქსირდეს ი.ბ.ა. „კალაუბნის 22” -ის დამფუძნებლების თანხმობა ქ. თბილისში, კალოუბნის ქ.№22-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის კორექტირებაზე (ერთი სართულის მსუბუქი კონსტრუქციით დამატებაზე)

2.შეეიდეს ცვლილება ამხანაგობის განშლის ოქმ №8-ში (დამოწმებული 2014 წლის 26.11. ნოტარიუს ქ. ოდილავაძის მიერ სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №141294846) კორექტირებული პროექტის შესაბამისად და ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული ცვლილების რეგისტრაცია.

ი/მ “კალაუბნის 22”-ის თავმჯდომარის მინდობილი: